დანართი 1 - პროექტის აღწერა

1. პროექტის მიზანია წყლის მომარაგების მომსახურების გაუმჯობესება ბორჯომის მუნიციპალიტეტში, შემდეგი საქმიანობის მეშვეობით: (ა) PIP-ის განხორციელება, რაც მოიცავს წყლის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობას, რეზერვუარებისა და ქსელის რეაბილიტაციას (ბ) საპროექტო ორგანიზაციის ფინანსური, მართვის, პრაქტიკული შესრულებისა და მომხმარებელთან ურთიერთობების უნარების გაუმჯობესება კორპორაციული განვითარების დახმარების პროგრამის (CDCSP) განხორციელების მეშვეობით და (გ) ბორჯომის მუნიციპალიტეტის, როგორც ბენეფიციარის შესაძლებლობების გაზრდა იმისათვის, რომ შეეძლოს საპროექტო ორგანიზაციის მიერ გაწეული მომსახურების მონიტორინგი, CDCSP-ის განხორციელების გზით.

2. პროექტი შემდეგი ნაწილებისაგან შედგება, რაც შესაძლოა პერიოდულად დაექვემდებაროს ცვლილებას ბანკისა და სესხის მიმღების წინასწარი შეთანხმების საფუძველზე:

ნაწილი 1: ითვალისწინებს:

- სადგერის წყლის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა;

- 7კმ-იანი მაგისტრალური წყალსადენის მშენებლობა სადგერის გამწმენდი ნაგებობის რეზერვუარებამდე;

- სადგერის წლის მიმღები ნაგებობის და წყალსაქაჩის გადაიარაღება

- წყლის მიწოდების ქსელის რეაბილიტაცია, მრიცხველების მიწოდება და დაყენება, სახელოსნოს რეაბილიტაცია და აღჭურვა, წყალარინების შეკეთება; და

- წყლის რეზერვუარების რეკონსტრუქცია

ნაწილი 2: CDCSP-ის განხორციელება.

3. პროექტის დასრულების სავარაუდო თარიღია 2011 წლის ნოემბერი.